

საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №603
2013 წლის 19 ივნისი

ქ. თბილისი

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ

[საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 03.02.2014წ.](#)

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

[საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 03.02.2014წ.](#)

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის თანდართული დებულება.

[საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 03.02.2014წ.](#)

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის N508 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-14 დღეს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი

ირაკლი ალასანია

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

[საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 03.02.2014წ.](#)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი (შემდგომ - დეპარტამენტი) არის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის (შემდგომ - გენერალური შტაბი) სტრუქტურული ქვედანაყოფი.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის (შემდგომ - მინისტრი) სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის (შემდგომ - გენერალური შტაბის უფროსი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.
3. დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო).
4. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია გენერალური შტაბის უფროსის წინეშე.
5. დეპარტამენტს აქვს ბეჭედი ქართულ-ინგლისური წარწერით „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი“, შტამში, აგრეთვე ბლანკი საკუთარი სახელწოდებით.

[საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 03.02.2014წ.](#)



მუხლი 2. დეპარტამენტის ამოცანები და კომპეტენციები

1. დეპარტამენტის ამოცანებია:

- ა) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- ბ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გამოცდილების გაზიარების სისტემის ფუნქციონირებისათვის კოორდინაციის გაწევა;
- გ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დოქტრინების შემუშავება/განვითარების პროცესისათვის კოორდინაციის გაწევა;
- დ) მინისტრის მიერ განსაზღვრული თანამდებობის პირებისათვის წინადადებების წარდგენა უცხოეთში მიღებული სამხედრო განათლების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებასთან დაკავშირებით.

2. დეპარტამენტის კომპეტენციებია:

- ა) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების სისტემის განვითარებისათვის შესაბამისი კონცეპტუალური და საორგანიზაციო დოკუმენტების შემუშავება და პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ბ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო განათლების გეგმების შემუშავება;
- გ) საქართველოს შეიარაღებული ძალების გვარეობების მიხედვით სამხედრო საგანათლებლო სტანდარტების განსაზღვრა;
- დ) სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სტანდარტებთან, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დადგენილ წესებთან თავსებადობის განსაზღვრა;
- ე) სამხედრო საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურების განვითარება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციაში;
- ვ) სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი, არსებული მდგომარეობის შესახებ პერიოდული ანალიზის მომზადება და რეკომენდაციების შემუშავება;
- ზ) საზღვარგარეთ სამხედრო განათლების პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრაში მონაწილეობა;
- თ) საქართველოს შეიარაღებული ძალების ამოცანებიდან გამომდინარე, საბრძოლო მომზადების დაგეგმვის სტრატეგიისა და საორგანიზაციო მეთოდური მითითების შემუშავება;
- ი) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საბრძოლო მომზადების ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მისი კოორდინირება და მონიტორინგი;
- კ) კომპეტენციის ფარგლებში სწავლებების დაგეგმვაში მონაწილეობა, კოორდინაცია და მონიტორინგი;
- ლ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სასწავლო პოლიგონებისა და სასროლეთების განვითარების სტანდარტების განსაზღვრა;
- მ) ვადადაწესებული მოხსენებების ტაბელით და საბრძოლო მომზადების სახელმძღვანელო და სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოების წესით განსაზღვრულ ვადებში, საქართველოს შეიარაღებული ძალების შენაერთებიდან და ქვედანაყოფებიდან მიღებული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე,



გენერალური შტაბის უფროსისათვის მოხსენების მომზადება;

ნ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ეფექტური სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების სისტემის განვითარებისთვის გამოცდილების (მათ შორის – პარტნიორი ქვეყნების) განზოგადება და გაზიარება;

ო) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დოქტრინების შემუშავების/განვითარების პროცესის კოორდინაცია, აგრეთვე პუბლიკაციების კოდირება და გამოცემისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

პ) უცხოეთში მიღებული სამხედრო განათლების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის შესწავლა და მინისტრის მიერ განსაზღვრული თანამდებობის პირისთვის წინადადებების წარდგენა;

ჟ) საქართველოს კანონმდებლობით და მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება;

[რ) სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პრიორიტეტების გათვალისწინებით გამოცდილების გაზიარების მიმართულებების განსაზღვრა;

ს) გამოცდილების გაზიარების სისტემის ფუნქციონირების საერთო კოორდინაცია და მონიტორინგი, გამოცდილების გაზიარების მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნა და გამოცდილების გაზიარების პორტალზე (შიდა სერვერზე) ინფორმაციის განთავსება და ადმინისტრირება;

ტ) გამოცდილების გაზიარებიდან მიღებული შედეგის მონიტორინგი აღსრულების პროცესში და გამოცდილების გაზიარების პრიორიტეტებზე რეკომენდაციების შემუშავება;

უ) გამოცდილების გაზიარების კონცეპტუალური და სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება. (ამოქმედდეს 2017 წლის 30 სექტემბრიდან)]

[საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 03.02.2014წ.](#)

[საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 16.12.2016წ.](#)

[საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 21 სექტემბრის ბრძანება №78 - ვებგვერდი, 21.09.2017წ.](#)

მუხლი 3. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, გენერალური შტაბის უფროსის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. დეპარტამენტის უფროსი უშუალოდ ექვემდებარება გენერალური შტაბის უფროსს.

3. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) წარადგენს დასამტკიცებლად დეპარტამენტის საშტატო ნუსხას;

გ) ახორციელებს კონტროლს დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობაზე, თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი (ფუნქციონალური) მოვალეობებისა და დისციპლინის დაცვაზე;

დ) დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსების შუამდგომლობის საფუძველზე, გენერალური შტაბის უფროსს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის (



სტრუქტურული ქვედანაყოფების) მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების, გადაადგილების ან/და მათ მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენების შესახებ;

ე) ხელს აწერს და/ან ვიზირებას უკეთებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს;

ვ) პასუხისმგებელია დეპარტამენტის ფუნქციების შესრულებაზე;

ზ) გამოითხოვს საჭირო ინფორმაციას სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან ან კომპეტენციის ფარგლებში სხვა ორგანოებიდან;

თ) უზრუნველყოფს დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობის საბრძოლო და სამოხილზაციო მზადყოფნას;

ი) ახორციელებს გენერალური შტაბის დებულებით, ამ დებულებითა და მინისტრის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა მოვალეობებს.

4. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს ერთი მოადგილე.

5. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის დროს მის ფუნქცია-მოვალეობებს, ახორციელებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) ხელს აწერს და ვიზირებას უკეთებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს;

გ) აკონტროლებს და პასუხისმგებელია დეპარტამენტის საქმიანობის მიმდინარეობასა და შედეგებზე;

დ) ორგანიზაციას უწევს დეპარტამენტის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და ატესტაციის საკითხებს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან შეთანხმებით;

ე) უზრუნველყოფს დეპარტამენტის ეფექტურ ფუნქციონირებას.

[საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 03.02.2014წ.](#)

მუხლი 4. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულები და მათი კომპეტენცია

1. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) სამხედრო განათლების სამმართველო:

ა.ა) სამხედრო განათლების დაგეგმვის განყოფილება;

ა.ბ) სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის განყოფილება;

ბ) საბრძოლო მომზადების სამმართველო:

ბ.ა) საბრძოლო მომზადების დაგეგმვის განყოფილება;

ბ.ბ) საბრძოლო მომზადების მონიტორინგისა და ანალიზის განყოფილება.

[გ) გამოცდილების გაზიარების განყოფილება. (ამოქმედდეს 2017 წლის 30 სექტემბრიდან)].



2. სამხედრო განათლების სამმართველოს კომპეტენცია:

- ა) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო განათლების სისტემის განვითარებისათვის შესაბამისი კონცეპტუალური და საორგანიზაციო დოკუმენტების შემუშავება და პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ბ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო განათლების გეგმების შემუშავება;
- გ) საქართველოს შეიარაღებული ძალების გვარეობების მიხედვით სამხედრო საგანათლებლო სტანდარტების განსაზღვრა;
- დ) სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სტანდარტებთან, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დადგენილ წესებთან თავსებადობის განსაზღვრა;
- ე) სამხედრო საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურების განვითარება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციაში;
- ვ) სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი, არსებული მდგომარეობის შესახებ პერიოდული ანალიზის მომზადება და რეკომენდაციების შემუშავება;
- ზ) საზღვარგარეთ სამხედრო განათლების პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრაში მონაწილეობა;
- თ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სასწავლო პოლიგონებისა და სასროლეების განვითარების სტანდარტების განსაზღვრა;
- ი) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ეფექტური სამხედრო განათლების სისტემის განვითარებისთვის გამოცდილების (მათ შორის – პარტნიორი ქვეყნების) განზოგადება და გაზიარება;
- კ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დოქტრინების შემუშავების/განვითარების პროცესის კოორდინაცია, აგრეთვე პუბლიკაციების კოდირება და გამოცემისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;
- ლ) უცხოეთში მიღებული სამხედრო განათლების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის შესწავლა და მინისტრის მიერ განსაზღვრული თანამდებობის პირისთვის წინადადებების წარდგენა;
- მ) საქართველოს კანონმდებლობით და მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.”.

3. საბრძოლო მომზადების სამმართველოს კომპეტენცია:

- ა) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საბრძოლო მომზადების სისტემის განვითარებისათვის შესაბამისი კონცეპტუალური და საორგანიზაციო დოკუმენტების შემუშავება და პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ბ) საქართველოს შეიარაღებული ძალების ამოცანებიდან გამომდინარე, საბრძოლო მომზადების დაგეგმვის სტრატეგიისა და საორგანიზაციო მეთოდური მითითების შემუშავება;
- გ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საბრძოლო მომზადების ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მისი კოორდინირება და მონიტორინგი;
- დ) კომპეტენციის ფარგლებში სწავლებების დაგეგმვაში მონაწილეობა, კოორდინაცია და მონიტორინგი;
- ე) ვადადაწესებული მოხსენებების ტაბელით და საბრძოლო მომზადების სახელმძღვანელო და სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოების წესით განსაზღვრულ ვადებში, საქართველოს შეიარაღებული



ძალების შენაერთებიდან და ქვედანაყოფებიდან მიღებული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე გენერალური შტაბის უფროსისათვის მოხსენების მომზადება;

ვ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ეფექტური საბრძოლო მომზადების სისტემის განვითარებისთვის გამოცდილების (მათ შორის – პარტნიორი ქვეყნების) განზოგადება და გაზიარება;

[ვ) (ამოღებულია - 21.09.2017, №78); (ამოქმედდეს 2017 წლის 30 სექტემბრიდან)]

ზ) საქართველოს კანონმდებლობით და მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

[4. გამოცდილების გაზიარების განყოფილების კომპეტენციაა:

ა) სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პრიორიტეტების გათვალისწინებით გამოცდილების გაზიარების მიმართულებების განსაზღვრა;

ბ) გამოცდილების გაზიარების სისტემის ფუნქციონირების საერთო კოორდინაცია და მონიტორინგი;

გ) საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბების მიზნით, შესაბამისი სპეციალისტების/ექსპერტების მოწვევა კომპეტენციის ფარგლებში;

დ) გამოცდილების გაზიარების მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნა, გამოცდილების გაზიარების პორტალზე (შიდა სერვერზე) ინფორმაციის განთავსება და ადმინისტრირება;

ე) გამოცდილების გაზიარებიდან მიღებული შედეგის მონიტორინგი აღსრულების პროცესში;

ვ) გამოცდილების გაზიარების პრიორიტეტებზე რეკომენდაციების შემუშავება;

ზ) გამოცდილების გაზიარების კონცეპტუალური და სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება. (ამოქმედდეს 2017 წლის 30 სექტემბრიდან)]

[საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 03.02.2014წ.](#)

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №92 - ვებგვერდი, 16.12.2016წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 21 სექტემბრის ბრძანება №78 - ვებგვერდი, 21.09.2017წ.

